საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 78

2011 წ. „11“ 07

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს ეროვნულ სოციალურ-ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204868946) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №11 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კახი ყურაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
სხდომის მდივანი